



სსიპ გარემოსდაცვითი
ინფორმაციისა და
განათლების ცენტრი

2025 წლის წლიური ანგარიში



შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს 2025 წლის განმავლობაში სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის (შემდგომში “ცენტრი”) მიერ განხორციელებულ საქმიანობას გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

ანგარიში მოიცავს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამების, ახალგაზრდული და პროფესიული ინიციატივების, ტრენინგების, კონკურსების, საინფორმაციო კამპანიებისა და საერთაშორისო პროექტების განხორციელების შესახებ.

2025 წელს ცენტრში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად განახლდა მისი ფუნქციური მანდატი. 2025 წლის ივლისამდე ცენტრი უზრუნველყოფდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობას, ხოლო რეორგანიზაციის შემდგომ აღნიშნული ფუნქცია განისაზღვრა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციად. ცვლილება განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების საფუძველზე.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საჯაროობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით და განკუთვნილია ფართო საზოგადოებისთვის.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის შესახებ

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მანდატი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და ცენტრის დებულებით.

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანია, გარემოსდაცვით და აგრარულ საკითხებზე საზოგადოების ინფორმირების, განათლებისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელების მხარდამჭერი საგანმანათლებლო და საინფორმაციო საქმიანობის განხორციელების გზით.

ცენტრი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის“ (ორპუნის კონვენცია), გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (United Nations Economic Commission for Europe – UNECE) „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ სტრატეგიის, საქართველოს გარემოს დაცვის მეოთხე ეროვნული პროგრამის (NEAP IV), საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგიისა და საქართველო–ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესაბამისად.



სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ცენტრი პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი და აგრორული ინფორმაციის გავრცელებისა და განათლების ხელშეწყობის მიმართულებით საქმიანობაზე. ამ მიზნით, ქვეყნის მასშტაბით ხელს უწყობს ორჰუსის კონვენციის შესრულებას და საქმიანობას წარმართავს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- გარემოსდაცვით და აგრორულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრორული განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად ცენტრის ძირითადი საქმიანობა მოიცავს:

- გარემოსდაცვითი და აგრორული განათლების ხელშეწყობას სკოლამდელი აღზრდის, სასკოლო, უმაღლესი და ზრდასრულთა განათლების მიმართულებით;
- თემატური ლექცია-სემინარების ორგანიზებას სკოლის მოსწავლეებისთვის;
- თემატური კონკურსების განხორციელებას;
- გარემოსდაცვით და აგრორულ საკითხებზე ტრენინგების ჩატარებას;
- პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელებას;
- საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზებას;
- სხვადასხვა სახის ინფორმაციის გავრცელებას მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხებით (ელექტრონული ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელები, ბეჭდური, რადიო და სატელევიზიო მედიასაშუალებები).

ინკლუზიურობა

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის პრიორიტეტულია ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპების ინტეგრირება ყოველდღიური საქმიანობის ყველა ასპექტში.

ცენტრი უზრუნველყოფს საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფის თანაბარ ჩართულობას პროექტებსა და აქტივობებში, საგანმანათლებლო და საინფორმაციო მასალები — მათ შორის

პუბლიკაციები, ვიდეორგოლები და ვიზუალური პროდუქტები — შემუშავებულია ინკლუზიური მიდგომით.

სამართლებრივი და სტრატეგიული ჩარჩო

ცენტრი საქმიანობას ახორციელებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დებულების“, ცენტრის შინაგანაწესის, ორჰუსის კონვენციის პრინციპებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ამასთან, ცენტრი იზიარებს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, UNECE-ის „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ სტრატეგიას, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიას, საქართველოს გარემოს დაცვის მეოთხე ეროვნულ პროგრამას (NEAP IV) და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების პრიორიტეტებს.

განათლება მდგრადი განვითარებითვის

ფორმალური და არაფორმალური განათლება

(სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული, უმაღლესი განათლება)

სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება



გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი სკოლამდელი აღზრდის დანესებულებების აღმზრდელებისა და მეთოდისტების გადამზადებას 2016 წლიდან ახორციელებს. ტრენინგ-კურსი აერთიანებს იმ ძირითად გარემოსდაცვით საკითხებს, რომელთა ადრეული ასაკიდან სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის. პროგრამა მოიცავს შემდეგ თემატურ მიმართულებებს:

- ბიომრავალფეროვნება ჩვენს გარშემო;
- წყლისა და ენერჯის დაზოგვა;
- ნარჩენების მართვა;
- კლიმატის ცვლილება.

2025 წელს პროგრამა შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონებში განხორციელდა, რომელის ფარგლებშიც გადამზადდა 537 პრაქტიკოსი (537 ქალი; 0 კაცი). მონაწილეებს გადაეცათ სახელმძღვანელოები და ეკოპაკეტები გარემოსდაცვითი საკითხების სასწავლო პროცესში გამოყენების მიზნით.

პროგრამის ფარგლებში ჯამურად 2016 წლიდან დღემდე გადამზადებულია 3967 სკოლამდელი აღზრდის დანესებულების პრაქტიკოსი. განახლებული პროგრამის დანერგვა ქვეყნის მასშტაბით ეტაპობრივად გრძელდება.

გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში



ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობის მიზნით, ცენტრი უკანასკნელი ხუთი წელია ახორციელებს დანყებითი საფეხურის პედაგოგების გადამზადების პროგრამას - "გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში". აღნიშნული ტრენინგ-კურსის ფარგლებში, პედაგოგებს შესაძლებლობა ეძლევათ, სასწავლო პროცესში დააინტეგრირონ მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და აგრარული საკითხები ასაკის შესაბამისი მეთოდოლოგიით.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 428 პედაგოგი (411 ქალი; 17 კაცი), ხოლო პროგრამის განხორციელების ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში ჯამურად — 7 438 პედაგოგი მთელი ქვეყნის მასშტაბით (7 173 ქალი; 265 კაცი). მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები და დამხმარე სახელმძღვანელოები სასწავლო პროცესში აღნიშნული საკითხების მეტად ეფექტურად ინტეგრირების მიზნით.

საგანმანათლებლო მასალები

“გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში” ცენტრის მიერ დაწყებული გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშემწყობის პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს - და იგი არის დინამიური შინაარსის დამხმარე რესურსი VII-XII კლასის მასწავლებლებისთვის. პროგრამის ტექსტური ნაწილი 2023-2025 წლების განმავლობაში მომზადდა., როგორც გარემოსდაცვითი მიმართულებით (10 სახელმძღვანელო), ისე აგრარული განათლების მიმართულებით (7 სახელმძღვანელო). შემუშავებული სასწავლო მასალა,ორივე სფეროსთვის მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს.

გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით:

- I გარემოსდაცვითი გამონწვევები ხმელეთზე;
- II წყლის რესურსების მდგრადი მართვა;
- III მსოფლიო ოკეანე და მასთან დაკავშირებული პრობლემები;
- IV ტრადიციული და ალტერნატიული ენერგეტიკული რესურსები;
- V კლიმატის ცვლილება;
- VI სოფლის მეურნეობის გამონწვევები და მიღწევები;
- VII ქალაქების მდგრადი განვითარება;
- VIII ნარჩენების მართვა;
- IX გზა მდგრადობისკენ. ცირკულარული ეკონომიკა;
- X მდგრადი წარმოება და მოხმარება;

აგრარული განათლების მიმართულებით:

- I მცენარეთა დაცვა;
- II მემცენარეობა სკოლებისთვის;
- III ბიომეურნეობა და ბიოფერმის მართვა;
- IV კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა;
- V აგრონომია;
- VI აკვაკულტურა-მეთევზეობა;
- VII ცხოველთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;

პროგრამაზე მუშაობის დასრულების შემდეგ (2026 წელს) დაგეგმილია სახელმძღვანელოების დაბეჭვდა და ტრენინგების ჩატარება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგებისთვის.

ახალგაზრდული პროგრამები



2025 წელს გარემოსდაცვითი და აგრარული პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამები:

- ეკოლიდერთა სკოლა
- აგროსკოლა
- სატყეო სკოლა
- მწვანე ბანაკი — კლიმატის ელჩები
- ახალგაზრდა მოხალისეთა ქსელი

გარემოსდაცვით და აგრარულ ახალგაზრდულ შემეცნებით პროგრამებში მონაწილეობა მიიღო ჯამურად **218-მა IX-XII კლასის მოსწავლემ** (157 გოგო; 61 ბიჭი).

ეკოლიდერთა სკოლა

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ერთ-ერთი გამორჩეული პროექტია

„ეკოლიდერთა სკოლა“, რომლის მიზანია ახალგაზრდების დაინტერესება გარემოსდაცვითი საკითხებით, გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ამაღლება და შესაბამისი ღირებულებების ჩამოყალიბება.

სასწავლო პროგრამა მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ ინფორმაცია აქტუალურ გარემოსდაცვით თემებზე და მოისმინონ დარგის პროფესიონალი ექსპერტების მოსაზრებები.

2025 წელს პროგრამა წარმატებით დაასრულა 48-მა მოსწავლემ (37 გოგო; 11 ბიჭი).

აგროსკოლა



სასწავლო კურსი „აგროსკოლა“ აგრარული საკითხებით დაინტერესებულ მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ სიღრმისეული ინფორმაცია სოფლის მეურნეობის დარგების შესახებ და ჩაერთონ პრაქტიკულ აქტივობებში.

2025 წელს ორთვიანი სასწავლო პროგრამა წარმატებით დაასრულა 48 მოსწავლემ (24 გოგო; 24 ბიჭი).

პროგრამა ყოველწლიურად ხორციელდება და მიზნად ისახავს დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებში აგრარული მიმართულებების პოპულარიზაციას, დეფიციტური პროფესიების ხელშეწყობასა და პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

პროგრამა განხორციელდა პროექტის **“საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ტრენინგების (VET) სისტემების მოდერნიზება (მე-3 ფაზა)”** ფარგლებში.

სატყეო სკოლა

სასწავლო კურსის „სატყეო სკოლა“ მიზანია, ტყესთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს მისცეს სიღრმისეული ცოდნა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტების გათვალისწინებით.

2025 წელს სატყეო სკოლა წარმატებით დაასრულა 51-მა მოსწავლემ (42 გოგო; 9 ბიჭი). პროგრამის თეორიული ნაწილი მოიცავს 2-თვიან ონლაინ სწავლებას, ხოლო პრაქტიკული ნაწილი 7 დღის განმავლობაში დარგის სპეციალისტებთან ერთად საველე პრაქტიკას, რის ფარგლებშიც მონაწილეები ეცნობოდნენ ტყის ინვენტარიზაციის პროცესსა და პრაქტიკულ სამუშაოებს. პროგრამა განხორციელდა პროექტის „სატყეო სექტორის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში - ECO.Georgia“ ფარგლებში.

მხვანე ბანაკი - კლიმატის ელჩები



პროგრამა ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს, აიმაღლონ ცნობიერება გარემოსდაცვით თემებზე და განახორციელონ პროექტები ადგილობრივ დონეზე.

ბანაკის ფარგლებში მონაწილეები 7 დღის განმავლობაში დარგის სპეციალისტებთან ერთად მუშაობდნენ ისეთ თემებზე, როგორიცაა კლი-

მატის ცვლილება, ტყის რესურსების მართვა, ბიომრავალფეროვნება და თემზე დაფუძნებული კატასტროფების რისკის შემცირება.

პროგრამის მიზანია ახალგაზრდების გარემოსდაცვით აქტივობებში ჩართვის ხელშეწყობა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ ცნობიერების ამაღლება და გარემოსდაცვითი პროფესიების პოპულარიზაცია.

მწვანე ბანაკის მონაწილეები კონკურსის საფუძველზე შეირჩნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელთა საშუალო ასაკი 15-17 წელი იყო.

2025 წლის განმავლობაში 50-მა მოსწავლემ (37 გოგო; 13 ბიჭი) მიიღო კლიმატის ელჩის სტატუსი, ხოლო 2022-2025 წლებში მწვანე ბანაკში ჯამში 208 კლიმატის ელჩი მონაწილეობდა.

პროგრამა ხორციელდება პროექტის „**კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში**“ ფარგლებში.

ახალგაზრდა მოხალისეები

მოხალისეთა ქსელი აერთიანებს 15-17 წლის ახალგაზრდებს და ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას ადგილობრივ დონეზე საგანმანათლებლო აქტივობებში.

პროგრამის ფარგლებში მონაწილეებმა ორთვიანი ონლაინ კურსის განმავლობაში შეისწავლეს ისეთი თემები, როგორიცაა:

- მდგრადი განვითარების მიზნები;
- კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება;
- ტყის რესურსების მართვა;
- განახლებადი და ალტერნატიული ენერჯიები;
- ბიომრავალფეროვნება;
- წყლისა და ნარჩენების მართვა;
- ეკოსისტემური სერვისები;
- კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები.

2025 წელს პროგრამა დაასრულა 21-მა მოხალისემ (17 გოგო; 4 ბიჭი), ხოლო 2022-2025 წლებში ჯამურად პროგრამა წარმატებით დაასრულა 83-მა მოხალისემ.

პროგრამა ხორციელდება პროექტების „**კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში**“ და „სატყეო სექტორის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში

- ECO.Georgia“ ფარგლებში.

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლება 3 წლის ვადით 2022 წელს მოიპოვა, რის შემდეგაც პროგრამების განხორციელების პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა. მომზადება/გადამზადების პროგრამები ჯამში 96-მა მსმენელმა დაასრულა (50 კაცი; 46 ქალი).

2025 წლის ოქტომბერში ცენტრმა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლება, ხელახლა, 3 წლის ვადით წარმატებით მოიპოვა.

პროგრამა - გარემოსდაცვითი მმართველი

პროფესიული მომზადების პროგრამის „გარემოსდაცვითი მმართველი“ მიზანია მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა და კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კომპანიებისთვის შესაბამისი კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

2025 წელს პროგრამის ფარგლებში მომზადდა **12 პირი** (7 ქალი; 5 კაცი). კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ **სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატები**.

პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა

მწვანე და აგროსტიკანდები

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ახორციელებს მწვანე და აგროსტიკანდების პროგრამას, რომლის მიზანია გარემოსდაცვითი და აგრარული მიმართულებით დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაცია და აღნიშნულ სფეროებში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების წახალისება.

პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად გაიცემა 60-ზე მეტი სტიპენდია, რომლის ოდენობა განისაზღვრება სწავლების საფეხურის მიხედვით:

- პროფესიული განათლების სტუდენტები – 500 ლარი;

- საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები – 1 000 ლარი;
- სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები – 1 500 ლარი.

2025 წელს მწვანე და აგროსტიპენდიების პროგრამის ფარგლებში გაიცა 72 სტიპენდია გარემოსდაცვით და აგრორულ მიმართულებებში.

მწვანე სტიპენდიები



დეფიციტური გარემოსდაცვითი პროფესიების ხელშეწყობის მიზნით, 2022 წელს უმაღლეს სასწავლებლებში დაინერგა „მწვანე სტიპენდიების“ პროგრამა. 2025 წელს პროგრამის ფარგლებში 32 მაგისტრატურის წარჩინებულ სტუდენტს (20 ქალი; 12 კაცი) გადაეცა 1 500 ლარის ოდენობის სტიპენდია.

2022–2025 წლებში ჯამში დაჯილდოვდა 128 მაგისტრატურის სტუდენტი.

სტიპენდიები ვრცელდება შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:

- ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება;
- წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა (ჰიდროლოგია);
- გეოლოგია;
- ენერგეტიკისა და მინერალური რესურსების მართვა და მდგრადი განვითარება;
- გარემოს დაცვა და საინჟინრო ეკოლოგია;
- ეკოლოგია;

- კონსტრუქციული (გამოყენებითი) გეოგრაფია და გარემოს დაცვა;
- გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა.

სტიპენდიები გადაეცათ შემდეგი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროგრამა ხორციელდება პროექტის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ფარგლებში.

აგროსტიპენდიები

დეფიციტური აგრარული პროფესიების ხელშეწყობის მიზნით, 2025 წელს „აგროსტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში 40 წარჩინებულ სტუდენტს (21 ქალი; 19 კაცი) – 12 პროფესიული

სასწავლებლიდან და 6 უნივერსიტეტიდან – გადაეცა 500, 1000 და 1500 ლარის ოდენობის სტიპენდიები, სწავლების საფეხურის მიხედვით.

სტიპენდიები ვრცელდება შემდეგ პროგრამებზე: აგრარული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

- მევენახეობა-მელვინეობა (დუალური);
- მეხილეობა (დუალური);
- მეხილეობა (მოდულური);
- მეხილეობა-მეჩაიეობა (მოდულური);
- მებაღეობა (მოდულური);
- მებოსტნეობა (მოდულური);
- სატყეო საქმე (მოდულური);
- ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში (მოდულური);
- ფერმერობა მეთევზეობაში (მოდულური);
- მეფუტკრეობა (მოდულური);

- ვეტერინარია (მოდულური);
- ვენახის გაშენება და მოვლა;
- ვეტერინარიის მეხუთე დონის პროფესიული პროგრამა (მოდულური).

აგრარული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

- აგრარული ტექნოლოგიები;
- აგრონომია;
- აგრონომია (მცენარეთა დაცვა);
- აგრონომია (აგროეკოლოგია);
- სასურსათო ტექნოლოგია.

აგრარული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

- ვეტერინარია (ინტეგრირებული);
- მევენახეობა-მელვინეობა;
- აგრარული ტექნოლოგია;
- მევენახეობა და ენოლოგია;

სტიპენდიები გადაეცათ შემდეგ პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს:

- ა(ა)იპ კოლეჯი “პრესტიჟი”;
- ა(ა)იპ კოლეჯი “ჰორიზონტი”;
- ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“;
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი;
- სსიპ კასპის კოლეჯი;
- სსიპ კოლეჯი „თეთნულდი“;
- სსიპ კოლეჯი „ფაზისი“;
- სსიპ კოლეჯი “აისი”;
- სსიპ კოლეჯი “ახალი ტალღა”;
- სსიპ კოლეჯი „ლაკადა“;
- სსიპ კოლეჯი „მოდუსი“;
- სსიპ კოლეჯი „ბლექსი“ ;
- სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;

2023–2025 წლებში ჯამში დაჯილდოვდა 104 პროფესიული, საბაკალავრო და მაგისტრატურის სტუდენტი.

პროგრამა ხორციელდება პროექტის „საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ტრენინგების (VET) სისტემების მოდერნიზება (მე-3 ფაზა)“ ფარგლებში.



საერთაშორისო თანამშრომლობა უმაღლესი განათლების ხელშეწყობისთვის

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს, პროფესიული უნარების სააგენტოსა და ბერნის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტს (სოფლის მეურნეობის, სატყეო და სურსათის მეცნიერებათა სკოლა) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია, გარემოს მდგრადობის, ტყის მართვის, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისა და სურსათის მეცნიერებების მიმართულებით გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო კონკურსები მწვანე ჯილდო



კონკურსი „მწვანე ჯილდო“ წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ჯილდოს გარემოსდაცვით

სფეროში. მისი მიზანია იმ მასწავლებლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პრაქტიკოსების გამოვლენა და ნახალისება, რომლებიც სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სახელმძღვანელოებს — „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ და „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში“ ამასთან, სისტემურად უწყობენ ხელს ბავშვებისა და ახალგაზრდების გარემოსდაცვითი და აგრარული ცნობიერების ამაღლებას.

„მწვანე ჯილდოს“ 2025 წლის გამარჯვებულებს წარმოადგენენ:

- „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება 2025“ – გულნარა ბუაძე, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირის საბავშვო ბაღის პრაქტიკოსი;
- „გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში 2025“ – შორენა ყარალაშვილი, სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის N2 საჯარო სკოლის გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლებისა და საგნის „ჩვენი საქართველო“ მასწავლებელი.

ტრენინგები დაინტერესებული საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი და აგრარული მიმართულებით

გარემოსდაცვითი და სოფლის მეურნეობის მიმართულებით 2025 წელს გამართული ტრენინგებით ჯამში გადამზადდა 6371 მონაწილე (3883 ქალი; 2498 კაცი).

ტრენინგები გარემოსდაცვითი მიმართულებით

2025 წელს გარემოსდაცვითი მიმართულებით განხორციელებული ტრენინგებისა და სასწავლო პროგრამების ფარგლებში ჯამში გადამზადდა 3 706 მონაწილე (2 511 ქალი; 1 195 კაცი).

ტრენინგები და სასწავლო კურსები მოიცავდა შემდეგ თემატურ მიმართულებებს:

- სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება;
- გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში;
- კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება;
- გარემოსდაცვითი დემოკრატია — ადამიანის უფლებები და ვალდებულებები (მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის);
- გეოლოგიური და ჰიდროლოგიური საფრთხეები და საფრთხის რუკების გამოყენება

(მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის);

- საბაზისო კურსი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების შესახებ – სპეციფიკური საფრთხეები და ქცევის წესები (ადგილობრივი თვითმმართველობის რეინჯერებისთვის);
- „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების დროს ქცევის წესები და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების მნიშვნელობა“ (სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის).

ლექცია-სემინარები სკოლის მოსწავლეებისთვის

სააგნარიშო პერიოდში, სკოლის მოსწავლეებისთვის რეგულარულად ტარდებოდა ლექცია-სემინარები გარემოსდაცვით და აგრარულ თემებზე. აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 1 940-მა მონაწილემ (1110 ქალი; 824 კაცი) – მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ტრენინგები აგრარული მიმართულებით



2025 წელს აგრარული მიმართულებით განხორციელებული ტრენინგების ფარგლებში ჯამში გადამზადდა 573 მონაწილე (297 ქალი; 276 კაცი).

ტრენინგები მოიცავდა შემდეგ თემატურ მიმართულებებსა და მიზნობრივ ჯგუფებს, მათ შორის ტრენინგები ჩატარდა პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებული პირებისათვის:

- კენკროვანი კულტურების აგროტექნოლოგია – ჟოლოსა და მარწყვის მოვლა-მოყვანა;
- მეფუტკრეობა;
- მეხილეობა – მსხლისა და ვაშლის კულტურების წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები

(მსჯავრდებულებისთვის);

- სწავლების მეთოდები და სასწავლო რესურსები (TLM) – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კოლეჯების მასწავლებლებისთვის;
- აგრარული ცოდნისა და ინოვაციების ხელშეწყობა – გურიისა და იმერეთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის, აგრარული სფეროს სპეციალისტებისთვის, განათლების სფეროს წარმომადგენლებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და სოფლის განვითარების სააგენტოს თანამშრომლებისთვის;
- სასწავლო ტრენინგ-ტური აგრარული მიმართულებით – აგრარული პროფესიული კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის;
- მედია ტრენინგი აგრარულ საკითხებზე – ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის;
- „ქარსაფარი ზოლების მართვა და მენეჯმენტი“ – ფერმერებისთვის;
- მესაქონლეობის ფერმის მართვა და მენეჯმენტი – GEOGAP-ის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად (ფერმერებისთვის);
- „კვივის წარმოების აგროტექნოლოგია“ – ექსტენციონისტებისთვის.

სამინისტროს სტრუქტურაში დასაქმებულ პირთა შესაძლებლობების გაძლიერება

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ხელს უწყობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და საქვეუწყებო დაწესებულების, ასევე ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ცენტრი თანამშრომელთა ტრენინგების საჭიროებათა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ყოველწლიურად უზრუნველყოფს შესაბამისი ტრენინგების დაგეგმვასა და ორგანიზებას.

2025 წელს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი სისტემის უწყებების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო **92-მა პირმა** (65 ქალი; 27 კაცი).

ტრენინგები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- ტრენინგთა ტრენინგი (TOT);
- სივრცითი მონაცემების დიגיტიზაცია, GIS სისტემაში ნაკვეთების იდენტიფიკაცია და მონაცემების დამუშავება;
- საერთაშორისო სერტიფიცირების სისტემების დანერგვის ხელშეწყობა;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების პრინციპები.

სერტიფიცირება

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკური პირის, ინდივიდუალური მენარმისა და იურიდიული პირის სერტიფიცირება

2017 წლის 1 იანვრიდან გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებდა მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ფიზიკური პირების სერტიფიცირების პროცესს.

განახლებული წესის შესაბამისად, 2024 წლის 1 იანვრიდან ცენტრი უზრუნველყოფს როგორც ფიზიკური პირების, ისე ინდივიდუალური მენარმებისა და იურიდიული პირების სერტიფიცირებას.

2025 წელს სერტიფიცირება გაიარა: 135-მა ფიზიკურმა პირმა (სერტიფიცირების ვადა 5 წელი), 61-მა ინდივიდუალურმა მენარმემ და იურიდიულმა პირმა (სერტიფიცირების ვადა 3 წელი).

გარემოსდაცვითი დემოკრატია - ადამიანის უფლებები და ვალდებულებები

ორპუსის კონვენცია წარმოადგენს მრავალმხრივ გარემოსდაცვით ხელშეკრულებას, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას და ამ სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას.

კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ორგანიზებით, საქართველოს მასშტაბით ჩატარდა ტრენინ-

ნების ციკლი სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, მუნიციპალიტეტების მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებისთვის თემაზე – „გარემოსდაცვითი დემოკრატია – ადამიანის უფლებები და ვალდებულებები“.

ტრენინგების პირველი ეტაპი განხორციელდა საქართველოს 6 რეგიონში, 40 მუნიციპალიტეტში, სადაც მონაწილეობა მიიღო 250-მა პირმა (164 კაცი; 86 ქალი).

ტრენინგების დასკვნითი ეტაპი განხორციელდა 2025 წელს საქართველოს დარჩენილ მუნიციპალიტეტებში, რომელშიც მონაწილეობდა 215 პირი (110 ქალი; 105 კაცი). აღნიშნული ეტაპის დასრულებით სრულად დასრულდა ტრენინგების ციკლი ქვეყნის მასშტაბით.

გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და ცნობიერების დონის ამაღლება

2025 წელს ცენტრის მიერ ჩატარებულ გარემოსდაცვითი და სოფლის მეურნეობის მიმართულებით განათლებისა და ცნობიერების დონის ასამაღლებელ ღონისძიებებში, ასევე საჯარო განხილვებში/დისკუსიებში, საინფორმაციო და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო **6785 - მა პირმა**.

სამუშაო/საინფორმაციო შეხვედრები

2025 წლის განმავლობაში ჩატარებულ საინფორმაციო/სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 3516

ადამიანმა (2 166 ქალი; 1 350 კაცი).

წლის განმავლობაში გაიმართა შემდეგი ტიპის შეხვედრები და ღონისძიებები:

- ორჭუსის კონვენციის განხორციელების 2021-2024 წლების მეშვიდე ეროვნული ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა (18 მონაწილე - 14 ქალი; 4 კაცი);
- ქართველი ტერიტორიების დაცვის მსოფლიო დღის ფარგლებში, თბილისის 32-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა (27 მონაწილე - 18 გოგო; 9 ბიჭი);

- 2024 წლის წარმოდგენილი კანდიდატების დაჯილდოების ღონისძიება თენგიზ გიზო ურუშაძის სახელობის საპატიო სიგელებით. (37 მონაწილე; 27 ქალი; 10 კაცი);
- საინფორმაციო შეხვედრა გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით (30 მონაწილე - 15 ბიჭი; 15 გოგო);
- საინფორმაციო შეხვედრები ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2023-2025 წლების გეგმა ცენტრალური ზონისთვის სოფელი წილკანში, გარდაბნის პირველი საჯარო სკოლაში, რუსთავის 21-ე საჯარო სკოლაში, მარნეულის მე-5 საჯარო სკოლაში და ბოლნისის პირველ საჯარო სკოლაში. (191 მონაწილე - 126 გოგო; 65 ბიჭი.)
- საინფორმაციო შეხვედრები თემაზე პლასტიკი და ნარჩენების მართვა თბილისის 147-ე, 113-ე, 130-ე, 31-ე სკოლებში, ასევე სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯუსში და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში (217 მონაწილე - 136 გოგო; 81 ბიჭი);
- ნიადაგის დღის აღნიშვნის ფარგლებში ღონისძიება (79 მონაწილე - 43 ქალი; 36 კაცი);
- შავი ზღვის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2025-2027 წლების გეგმის საჯარო განხილვა

(11 მონაწილე - 10 ქალი; 1 კაცი);

- დასავლეთის ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

(19 მონაწილე - 9 ქალი; 10 კაცი).

საინფორმაციო კამპანიები და საზოგადოებრივი კომუნიკაცია

2025 წლის განმავლობაში გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებდა გარემოსდაცვით და აგრარულ თემებზე საინფორმაციო კამპანიებს, რომლებიც მიმართული იყო საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრარული განათლებისა და ცნობიერების დონის ამაღლებისკენ.

ცენტრის სოციალური ქსელების მეშვეობით გამოქვეყნდა 22 საინფორმაციო პოსტი, რომლებიც მიეძღვნა გარემოსდაცვით და აგრარულ საერთაშორისო და ეროვნულ თარიღებს.

გავრცელდა ინფორმაცია შემდეგ თემებზე:

- ქართვენიანი ტერიტორიების მსოფლიო დღე;
- ნარჩენების გადამუშავების საერთაშორისო დღე;
- ტყის საერთაშორისო დღე;
- წყლის საერთაშორისო დღე;
- მეტეოროლოგიის მსოფლიო დღე;
- რეინჯერთა მსოფლიო დღე;
- ოზონის შრის დაცვის მსოფლიო დღე;
- წყლის მონიტორინგის მსოფლიო დღე;
- „მწვანე ჯილდო“;
- „დედამიწის საათი“;
- სათემო ფორუმი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირების თემაზე;
- პირველი ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშისა და მეხუთე ეროვნული შეტყობინების წარდგენა;
- ტრენინგები თემაზე „გარემოსდაცვითი დემოკრატია – ადამიანის უფლებები და ვალდებულებები“;
- „ეკოლიდერთა სკოლის“, „სატყეო სკოლის“ და „მწვანე ბანაკის“ დაწყება და დასრულება;
- ესეების კონკურსი – „ჩემი წილი სუფთა ჰაერში“;
- პლასტიკის მავნე ზემოქმედება, ნარჩენების მართვა და ჰაერის ხარისხი.
- ჩატარდა მიზნობრივი საინფორმაციო კამპანიები:
- ქართვენიანი ტერიტორიების მსოფლიო დღის;
- ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღის;
- ჰაერის, ნარჩენებისა და პლასტიკის თემატიკაზე.

საგანმანათლებლო და საინფორმაციო მასალები / ვიდეოკროლუჟცია

პროექტის „ECO.Georgia“ ფარგლებში გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ მომზადდა ერთი საინფორმაციო ვიდეორგოლი თემაზე – ენერგოეფექტური ღუმელები.

ასევე: შემუშავდა და დაიბეჭდა ბროშურები და პოსტერები ახალგაზრდებისთვის, ეკოკლუბებისთვის, უნივერსიტეტებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის; ცენტრის ელფოსტის მეშვეობით ინფორმაცია რეგულარულად ეგზავნება 7 000-მდე გამომწერს; სოციალური ქსელის საშუალებით ცენტრს ჰყავს 36 000-ზე მეტი Facebook გამომწერი.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა

(ცენტრის შესაბამისი მანდატის მოქმედების პერიოდში – 2025 წლის 27 ივლისამდე)

საჯარო განხილვები

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრის შესაბამისი მანდატის მოქმედების პერიოდში, 2025 წლის 27 ივლისის მდგომარეობით, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებული და ჩატარებული იქნა 155 საჯარო განხილვა.

ამავე პერიოდში, ცენტრის ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით ფართო საზოგადოებას მიეწოდებოდა ინფორმაცია შემოსული განცხადებების შესახებ, მათ შორის:

- სკოპინგი – 82 განცხადება;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცედურა – 65 განცხადება;
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (SEA) – 8 განცხადება.

საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის მიმართულებით, სარეგისტრაციო ფორმების მიხედვით, პროცესებში მონაწილეობა მიიღო 3 044-მა პირმა (1 134 ქალი; 1 910 კაცი). ამასთან, სკრინინგის პროცედურის გავლის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა 372 განცხადებაზე. პროექტების მიხედვით დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებამ მოიცვა საქართველოს 10 რეგიონი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, თბილისი და 31 მუნიციპალიტეტი.

ცენტრის მანდატის ფარგლებში ასევე ხორციელდებოდა: სკრინინგის, სკოპინგისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ არსებული დოკუმენტების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა ასევე მიმდინარე განცხადებების შესახებ ინფორმაციის ბეჭდურ მედიაში გავრცელება.

ვიმდინარე და განხორციელებული პროექტები


2025 წელს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა დონორებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით **6 პროექტის ფარგლებში** განახორციელა სხვადასხვა საგანმანათლებლო, ახალგაზრდული და ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული აქტივობები.

პროექტი - „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა - ECO.Georgia“ განხორციელებული აქტივობები:

ჩატარდა ახალგაზრდული პროგრამის — „სატყეო სკოლის“ 2025 წლის თეორიული კურსი და საველე პრაქტიკული ნაწილი;

შემუშავდა **ტრენინგ-მოდული**, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: საქართველოს ტყეების მდგომარეობა და არსებული გამოწვევები, ტყის მდგრადი მართვის პრინციპები, ტყის ინვენტარიზაციის მნიშვნელობა, მეთოდები და შედეგები, ტყის ეკოსისტემები, ტყეთმონყობის მიზნები და მეთოდები;

სკოლის მოსწავლეებისთვის ჩატარდა კონკურსი თემაზე — „**ტყე ჩემი სიცოცხლის წყარო**“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 70-მა სკოლამ კახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებიდან. კონკურსში მონაწილეობა ხდებოდა როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ფინალურ ეტაპზე გადავიდა 10 გუნდი და ჯამში 24 მოსწავლე დაჯილდოვდა.



პროექტი - საქართველოს მეხუთე ეროვნული შეტყობინებისა და პირ-ველი ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიშის (5NC/1BTR) შემუშავება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მიმართ

- ჩატარდა შეხვედრა, სადაც დაინტერესებული მხარეებს წარედგინათ სათბურის აირების ინვენტარიზაციის საბოლოო შედეგები;
- შემუშავდა 5NC/1BTR დოკუმენტების სხვადასხვა კომპონენტის მოკლე/შემაჯამებელი ვერსიები და მომზადდა ანგარიშგების ბროშურის სამუშაო ვერსია;
- მომზადდა შეფასებითი ანგარიში სათბურის აირების გაფრქვევა/შთანთქმის სცენარებისა და მათი გავლენის შესახებ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შესრულების პროცესზე;
- ჩატარდა პროექტის დასკვნითი შეხვედრა (40 მონაწილე);
- შემუშავდა ბროშურა “კლიმატის ცვლილება - შერბილება და ადაპტაცია”.
- პროექტი განხორციელდა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისა (GEF) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით.

პროექტი - საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ტრენინგების (VET)

სისტემების მოდერნიზება (მე-3 ფაზა):

- შემუშავდა 3 ტრენინგ-მოდული და 1 საექსტენციო პაკეტი;
- აგროლოგიის კონკურსის ფარგლებში, დაჯილდოვდა 18 სტუდენტი და სკოლის მოსწავლე;
- სოფლის მეურნეობის დარგების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან;
- ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა პრიორიტეტული აგრარული მიმართულებით;
- ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციების სისტემის (AKIS) რეგიონული კონფერენცია, რომლის მიზანი იყო ძირითადი დაინტერესებული მხარეების გაერთიანება რეგიონული პლატფორმების შექმნის მიზნით.

- ეროვნულ დონეზე სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციების სისტემის (AKIS) ეფექტური ფუნქციონირებისა და საგანმანათლებლო მიმართულებით სისტემაში ჩართული მხარეების ეფექტური კოორდინაციის მიზნით ჩატარდა აგრარული განათლების საკორდინაციო საბჭოს შეხვედრა.
- აგრარული მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგები აგროჟურნალისტებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.

პროექტი დაფინანსებულია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ და მას გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ახორციელებს.

პროექტი - “მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში”

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობაზე საარსებო გარემოსა და ინფრასტრუქტურაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების შემცირებას ეროვნულ დონეზე მოქმედი მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული შეტყობინების სისტემის და ადგილობრივ დონეზე რისკის შესახებ ინფორმირებული მოქმედების გზით. პროექტი შეიმუშავებს/მიანვდის კლიმატის კრიტიკულ რისკებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რაც დაეხმარება საქართველოს მთავრობას ეროვნულ დონეზე განახორციელოს სხვადასხვა ქმედებები და პოლიტიკა, რითაც შეამცირებს მონყვლადობას კლიმატით გამოწვეული საფრთხეების მიმართ, რომლის განმახორციელებელია გაეროს განვითარების პროგრამა და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები:

- ახლადგამოვლენილი 15 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის პროექტის ფარგლებში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შესახებ;
- პროექტის ფარგლებში განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შესახებ მოსწავლეებთან, რესურსცენტრებისა და საბავშვო ბაღების ხელმძღვანელებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსახლეობასთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან;

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ტრენინგები:

- საბაზისო კურსი კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების შესახებ (სპეციფიკური საფრთხეები და ქცევის წესები);
- გეოლოგიურ და ჰიდროლოგიურ საფრთხეებზე და საფრთხის რუკების გამოყენებაზე ადგილობრივი თვითმმართველობების, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებისათვის (რეინჯერები, მეტყუვეები და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები);
- “კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის მართვასა და საფრთხის რუკების გამოყენებაზე”, მწვანე სტიპენდიანტებისათვისა და ახალგაზრდებისათვის;
- “კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების დროს ქცევის წესებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების მნიშვნელობის შესახებ სკოლის დირექტორებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის.

პროექტის ფარგლებში, შემუშავდა სასწავლო მოდული უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო საფეხურისათვის კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის მართვისა და შემცირების შესახებ. აღნიშნული საკითხები დაინტეგრირდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) სამაგისტრო პროგრამაზე, ხოლო “იაკობ გოგებაშვილის სახელობის” თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე განახლდა კურსი “კლიმატის ცვლილების შესახებ” და დაემატა კურსი “კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ”.

განახლდა სამიზნე ტერიტორიების/თემების ინტერაქტიული რუკა, სადაც ასახულია პროექტის ფარგლებში მიმდინარე ყველა სიახლე.

პროექტი ხორციელდება **საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) და შვეიცარიის მთავრობის თანადაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის(UNDP) მხარდაჭერით**

პროექტი - „ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩო - ადრეული ქმედების მხარდაჭერა“

პროექტის მიზანია ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩოს (GBF) ეროვნულ დონეზე დანერგვის ხელშეწყობა, მათ შორის, ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (NBSAP) განახლების პროცესის მხარდაჭერა, ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩოს (GBF) დანერგვის მიზნით, ქმედებების დაჩქარება ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის გზით, რათა საქართველომ უზრუნველყოს ეროვნული მიზნების, ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (NBSAP), პოლიტიკის და მონიტორინგის ჩარჩოსა და ბიომრავალფეროვნების ფინანსირების შესაბამისობა ბიომრავალფეროვნების გლობალურ ჩარჩოსთან (GBF).

პროექტის საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ტექნიკური დავალება - **„ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (NBSAP) მომზადების ხელშეწყობა“** და გამოვლინდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია.

2025 წელს მომზადდა დეტალური სამუშაო გეგმა, ამჟამად, შემუშავებულია: ბიომრავალფეროვნების გლობალური ჩარჩოს (GBF) ეროვნულ დონეზე დანერგვის მდგომარეობის სიტუაციური ანალიზი.

შემუშავებულია სამუშაო ვერსიები:

- ეროვნული მიზნების და ამოცანების განსაზღვრა;
- მონიტორინგის სისტემების გაუმჯობესება;
- ბიომრავალფეროვნების გლობალურ ჩარჩოსთან (GBF) თანხვედრის პოლიტიკისა და ინსტიტუციური შესაბამისობის განსაზღვრა/აღწერა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების რეკომენდაციების შემუშავება;
- ბიომრავალფეროვნების ფინანსირების ქმედებების/ აქტივობების განხორციელება და BIOFIN-ის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაციის/ანგარიშის მომზადება.

ამჟამად მიმდინარეობს სამუშაო ვერსიების დახვეწა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნების პოლიტიკის დეპარტამენტთან თანამშრომლობით. მათი ყველა რეკომენდაციის გათვალისწინების შემდეგ მოხდება შესრულებული ამოცანების ჩაბარება.

პროექტი - „შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოს ეროვნული ადაპტაციის გეგმის (NAP)

პროცესის მხარდასაჭერად“.

პროექტის მთავარი ამოცანაა, საქართველოს მთავრობის არსებული სისტემებისა და ინსტრუმენტების გაძლიერება, რომლებიც ორიენტირებულია საქართველოში კლიმატის ცვლილებისადმი მედეგ, თანმიმდევრულ, გრძელვადიან და მდგრად გადაწყვეტილებებზე. პროექტი მიზნად ისახავს ადაპტაციის ეროვნული გეგმის (NAP) შემუშავების პროცესის ხელშეწყობას, ადაპტაციის დაგეგმვის მართვისა და კოორდინაციის გაძლიერებას, კერძო სექტორის ჩართულობის ხელშეწყობას და დაფინანსების სტრატეგიის შემუშავებას. პროექტის განხორციელებით მიიღწევა შემდეგი შედეგები:

- შემუშავდება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის 10-წლიანი ხედვისა და 5-წლიანი ეროვნული ადაპტაციის გეგმა (NAP) საქართველოსთვის;
- შემუშავდება სხვადასხვა სექტორის ადაპტაციის გეგმები;
- განისაზღვრება და შემუშავდება პრიორიტეტული რეგიონული ადაპტაციის გეგმები;
- შეიქმნება ინსტიტუციური მექანიზმები ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე ადაპტაციის დაგეგმვის პროცესების მხარდასაჭერად და გაძლიერდება ადაპტაციის ეროვნული გეგმის განხორციელების შესაძლებლობები;
- შემუშავდება საქართველოს კლიმატის მონიტორინგის სისტემის საინვესტიციო და ფინანსური მდგრადობის გეგმა;
- განისაზღვრება კლიმატის ცვლილების შესახებ საშუალო და გრძელვადიანი ადაპტაციის დაგეგმვისთვის საჭირო ინფორმაცია და შეფასდება არსებული ხარვეზები;
- მოხდება კლიმატის ცვლილების შეთანხმების ფარგლებში კერძო სექტორის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- განიხილება სახელმწიფო და კერძო ადაპტაციის დაფინანსების ვარიანტები და შემუშავდება საშუალო და გრძელვადიანი რეგიონული და დარგობრივი ადაპტაციის ღონისძიებების დაფინანსების სტრატეგია;
- შეიქმნება მონიტორინგისა და შეფასების სტრუქტურა ადაპტაციის ეროვნული გეგმის პროცესისთვის.

საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოები:

- დაიწყო პროექტის განხორციელება, დაკომპლექტდა პროექტის მართვის გუნდი, გაფორმდა შესაბამისი იურიდიული ხელშეკრულებები და მომზადდა პროექტის დეტალური სამოქმედო გეგმა.

პროექტი ხორციელდება გარემოს დაცვის პროგრამის (UNEP) და კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) მხარდაჭერით



სსიპ გარემოსდაცვითი
ინფორმაცია და
განათლების ცენტრი

